NORTH YORK TORONTO HEALTH PARTNERS
COMPASSIONATE NORTH YORK

კიბოს სკრინინგმა შეიძლება გადაარჩინოს თქვენი სიცოცხლე

ონტარიოში ყოველ მეორე ადამიანს კიბოს დიაგნოზი აქვს დასმული თავისი სიცოცხლის განმავლობაში

კიბოს სკრინინგი ეხმარება მის აღმოჩენას ადრეულ სტადიაში, როდესაც ის ყველაზე განკურნებადია.

ადამიანებს, რომლებსაც არ ჰყავთ ჯანდაცვის პირდაპირი პროვაიდერი (ოჯახის ექიმი ან ლიცენზირებული ექთანი) მაინც შეუძლიათ გაიარონ კიბოს სკრინინგი უფასოდ, თუ აქვთ ონტარიოს სამედიცინო დაზღვევის ბარათი - Ontario Health Care (OHIP) Card.
თუ გყავთ ჯანდაცვის პირდაპირი პროვაიდერი, შეგიძლიათ პირველ რიგში დაუკავშირდეთ მას სკრინინგ(ებ)ის დასაჯავშნად.
თუ არ გყავთ ჯანდაცვის პირდაპირი პროვაიდერი, იხილეთ ქვემოთ კიბოს სკრინინგზე წვდომის სხვა გზები. ინფორმაცია ამ დოკუმენტში მოწოდებულია CancerCare Ontario-ს მიერ.
ეწვიეთ North York Toronto Health Partners (NYTHP) კიბოს სკრინინგის კლინიკას, რათა მიიღოთ მეტი ინფორმაცია, ან დაჯავშნოთ კიბოს სკრინინგის თარიღი.
დააწკაპუნეთ აქ ან დაასკანირეთ QR კოდი მარჯვნივ კლინიკების დეტალების შესახებ.

მკერდის კიბოს სკრინინგი

- **·მკერდის კიბო ყველაზე გავრცელებული სახეობაა ქალებში**
- **·სარძევე ჯირკვლის კიბოს სკრინინგი ჩვეულებრივ ხდება მამოგრამის (ძუძუს რენტგენის) მეშვეობით.**

ვინ ექვემდებარება მკერდის კიბოს სკრინინგს?

- 50-დან 74 წლამდე ასაკის ქალებისთვის, ან ტრანსგენდერებისთვის, ან არაბინარულ ადამიანებისთვის,მამოგრაფიის გავლა რეკომენდირებულია ორ წელიწადში ერთხელ. თუ აკმაყოფილებთ კრიტერიუმებს და თქვენს OHIP-ბარათს ვადა აქვს გასული, თქვენ კვლავ გაქვთ უფლება გაიაროთ სკრინინგი. ამ ტიპის მომსახურებას ექიმის მიმართვა არ ჭირდება.
- თუ ხართ მკერდის კიბოს მაღალი რისკის მატარებელი თქვენი ოჯახის ან პირადი ჯანმრთელობის ისტორიიდან გამომდინარე, ან ჩაგიტარდათ ტესტირება გარკვეული გენის ცვლილებებზე, მაშინ შეგიძლიათ მკერდის კიბოს სკრინინგის გაკეთება უფრო ადრე, და ასევე შეგიძლიათ დამატებითი გამოკვლევების ჩატარება. გთხოვთ, გაესაუბროთ ოჯახის ექიმს, რათა შეამოწმოთ, აკმაყოფილებთ თუ არა მაღალი რისკის სკრინინგ პროგრამას.

დარეკეთ ონტარიოს მკერდის სკრინინგის პროგრამაში (Ontario Breast Screening Program) 1-800-668-9304 კერძო ვიზიტზე ჩასაწერად, ან დაასკანირეთ QR კოდი მარჯვნივ.

NORTH YORK TORONTO HEALTH PARTNERS
COMPASSIONATE NORTH YORK

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი

- **·საშვილოსნოს ყელის კიბო თითქმის მთლიანად პრევენცირებადია სკრინინგით და ადრეული მკურნალობით.**
- **·საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი კეთდება პაპ-ტესტის მეშვეობით, საშვილოსნოს ყელის უჯრედების შეგროვებით. პაპ-ტესტების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის დააწკაპუნეთ აქ ან დაასკანირეთ QR კოდი მარჯვნივ.**

თუ ხართ ქალი ან ტრანსგენდერი/არაბინარული ადამიანი 25 ან მეტი წლის ასაკის, სქესობრივად აქტიური, რეკომენდირებულია გაიკეთოთ პაპ-ტესტი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.
საშვილოსნოს ყელის კიბოს რეგულარული სკრინინგი შეიძლება შეწყდეს 70 წლის ასაკში, თუ 10 წლის განმავლობაში გაგიკეთებიათ 3 ან მეტი ნორმირებული ტესტი.
თუ ფიქრობთ, რომ დაქვეითებული იმუნიტეტი გაქვთ და/ან იღებთ იმუნიტეტის დამაქვეითებელ პრეპარატებს, გთხოვთ გაესაუბროთ ოჯახის ექიმს სკრინინგის გავლის სიხშირეზე.

პაპ-ტესტი ხელმისაწვდომია მათთვის ვინც უფლებამოსილია,წინასწარი ჩაწერის გარეშე NYTHP-ის კიბოს სკრინინგის კლინიკებში. ტესტებს ჩაატარებენ პროფესიონალი ექიმი ქალბატონები.

ასევე შეგიძლიათ დარეკოთ Health Connect Ontario-ში ნომერზე 811 და შეეკითხოთ ადგილობრივ კლინიკაზე, რომელიც სთავაზობს პაციენტებს პაპ-ტესტებს, ან დაუკავშირდეთ ოჯახის ექიმს.

კოლორექტალური კიბოს სკრინინგი

- **·10-დან 9 ადამიანი შეიძლება განიკურნოს, თუ კოლორექტალური კიბო ადრეულ ეტაპზე გამოვლინდება.**
- **·მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი ტარდება ფეკალური იმუნოქიმიური ტესტის (FIT) მეშვეობით, რომელიც არის სწრაფი, უსაფრთხო და უმტკივნეულო და შეიძლება გაკეთდეს სახლშიც.**

ვინ ექვემდებარება კოლორექტალური კიბოს სკრინინგს?

თუ არ გაქვთ ამ ტიპის კიბოს ოჯახური ისტორია, *50*-დან *74* წლამდე ასაკის ყველა ადამიანი ორ წელიწადში ერთხელ უნდა შემოწმდეს მსხვილი ნაწლავის კობოზე, *FIT*-ის გამოყენებით. *FIT* ამოწმებს თქვენს განავალში *(*ფეკალიებში*)* მცირე რაოდენობით სისხლს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კოლორექტალური კიბოს ან კიბოსწინარე პოლიპებით. თუ აკმაყოფილებთ კრიტერიუმს, მედდას შეუძლია შეუკვეთოს თვენთვის ტესტი *NYTHP*-ის კიბოს სკრინინგის კლინიკაში.

- თუ გაქვთ ამ ტიპის კიბოს ოჯახური ისტორია (ახლო ნათესავის), გთხოვთ, გაესაუბრეთ ჯანდაცვის პროვაიდერს, ან თუ გაქვთ მუდმივი ცვლილებები ნაწლავურ მოძრაობაში და გადაუჭრელი რექტალური სისხლდენის პრობლემა.

ასევე, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თქვენს ოჯახის ექიმს ან დარეკოთ 811-ზე, ან ეწვიოთ: Hearth Care Connect-ს, ან დაასკანირეთ QR კოდი მარჯვნივ.